მოთხოვნის შესაბამისად წარმოგიდგენთ ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის მიერ გაცემულ თანხმობებს N18-01173561821 22.12.2017წ. და N18-0118032708, 01.02.2018წ. მცენარეების გადარგვასთან დაკავშირებით. **იბა „დელისი 3“-ის** (ს/კ 01.10.15.006.048) კუთვნილ ტერიტოტიაზე ხელსაყრელ ლოკაციებზე, რათა ხელი არ შეუშალოს შეთანხმებული პროექტის განხორციელებას და დაგეგმილ კორექტირებას.

საპროექტო ტერიტორიაზე არსებული 9 ხე ნარგავის მოჭრა/გადარგვა შ.პ.ს. „სილვა გრუპის“ საექსპერტო შეფასების თანახმად (ექსპერტ დავით კობახიძის 08/11/2017 საექსპერტო დასკვნა), ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული თანხმობის N18-01173561821 22.12.2017წ და N18-0118032708, 01.02.2018წ. საფუძველზე, **ამხანაგობა „დელისი 3“-ის კუთვნილ ტერიტორიაზე**.

N1 თეთეი თუთა (Morus alba)ჯანსაღი - გადარგვა;
N2 თეთეი თუთა (Morus alba)ჯანსაღი - გადარგვა;
N4 დაფნა (laurus)ჯანსაღი - გადარგვა;
N5 კაკლის ხე (juglansregia)ჯანსაღი - გადარგვა;
N8 ვაზი (vitis)ჯანსაღი - გადარგვა;

გათვალისწინებულია მცენარეების დარგვა გეგმაზე მოცემულ ლოკაციებზე სავეგეტაციო პერიოდში. ასევე მოცემული რეკომენდციის თანახმად დაცული იქნება დარგვისა და მოვლა პატრონობის მოთხოვნები.
წარმოდგენილ გეგმაზე (ნუმერაციის მიხედვით) მოცემულია ხე-მცენარეების ტაქსაციის (გადარგვის) ადგილები, განთავსების შესაბამისი ნორმების დაცვით.

ასევე: ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის (წერილი N18-01173561821 22.12.2017წ) მოთხოვნის თანახმად N8 და N9 ზეხმელი თხილის (corilus) საკონპენსაციოდ 2 ძირი ფოთლოვანი ხის -**ამერიკული ცაცხვის /TiliaAmericana/ დარგვა ამხანაგობა „დელისი 3“-ის ტერიტორიაზე**.

ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურში შეტანილი გვაქვს **N 19/01182823873 0910.2018წ.** განაცხადი იბა "დელისი 3"-ის კუთვნილი ტერიტორიის გამწვანებისა და კეტილმოწყობის შესახებ (დენდროლოგიური პროექტი) სათანადო თანხმობის მისაღებად.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: 18-01173561821
თარიღი: 22/12/2017

ადრესატი: იბა "დელისი 3"
საიდენტიფიკაციო ნომერი: 205198622
მისამართი: დელისის ქუჩა #3

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურმა განიხილა, თქვენი 2017 წლის 11 ნოემბრის #10/01173262657-18 წერილი და თანდართული დოკუმენტაცია (ექსპერტ დავით კობახიძის 08/11/2017 საექსპერტო დასკვნა), რომლითაც ითხოვთ თქვენს კუთვნილ ტერიტორიაზე (ქ. თბილისი, დელისის ქ. N3 საკ/კოდ 01.10.15.006.048) ხე-მცენარეების მოჭრა/გადარგვის ნებართვას.

გაცნობებთ, რომ „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 თავის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესი"-ს მე-3 თავის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე (ქ. თბილისი, დელისის ქ. N3 საკ/კოდ 01.10.15.006.048) ხილ-კენკროვანი მცენარეების (კომში, ქლიავი, ვაზი) მოჭრა/გადარგვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულ ნებართვას არ საჭიროებს.

ასევე გაცნობებთ, რომ თუ ტერიტორიაზე ნებართვის გარეშე ხილ-კენკროვანის გარდა მოიჭრება სხვა სახეობის ხე-მცენარე, თქვენს მიმართ გატარებული იქნება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

რაც შეეხება N4 დაფნის და N5 კაკლის ხეების გადარგვის საკითხს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესი"-ს მე-2 თავის 21-ე მუხლის შესაბამისად და თქვენს მიერ წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამსახური გასცემს 1 ძირი N4 დაფნის და 1 ძირი N5 კაკლის გადარგვის ნებართვას, თქვენსავე ტერიტორიაზე (ქ. თბილისი, დელისის ქ. N3; საკ/კოდ 01.10.15.006.048) მშენებლობის ნებართვის/წერილობითი თანხმობის წარმოდგენის შემთხვევაში.

მწვანე ნარგავების გადარგვის ნებართვა გაიცემა 1 წლის ვადით, ხოლო გადარგული მწვანე ნარგავების მოვლის სამუშაოების ხანგრძლივობა განისაზღვრება 3 წლის ვადით.

ნებართვის მიმღები ვალდებულია გადარგვის დაწყების თარიღი და დროის ინტერვალი წერილობით აცნობოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურს ზედამხედველობის გაწევის მიზნით (გადარგვის დაწყებამდე - მინიმუმ 2 სამუშაო დღით ადრე). წინააღმდეგ შემთხვევაში მწვანე ნარგავების გადარგვა ჩაითვლება უკანონოდ.

გადარგვის განხორციელების შემდეგ, ყოველ კვარტალში ერთხელ წარმოდგენილი უნდა იქნას წერილობით გადარგული ხე-მცენარეების მდგომარეობის შესახებ ანგარიში და შესაბამისი ფოტომასალა.

დამატებით გაცნობებთ, რომ გადარგული მწვანე ნარგავების 1 წლის ვადაში გახმობის

შემთხვევაში დაგეკისრებათ ბიომრავალფეროვნებაზე მიყენებული ზიანის - აღდგენითი ღირებულების გადასახადი.

რაც შეეხება ზეხმელი თხილების მოჭრის საკითხს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესი"-ს მე-3 თავის, 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ'' ქვეპუნქტის შესაბამისად და თქვენს მიერ წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამსახური გასცემს 2 ძირი N8 და N9 ზეხმელი თხილის მოჭრის ნებართვას მას შემდეგ, რაც ზემოაღნიშნული წესის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად წარმოდგენილი იქნება საკომპენსაციო რგვისთვის საჭირო საქონლის შესყიდვის თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულება, რომელშიც მითითებული უნდა იქნას შესყიდული მცენარის სახეობა და ზომა.

აქვე გაცნობებთ, რომ ნებართვის მიღების შემდგომ გევალებათ საკომპენსაციო რგვის ფარგლებში 2 ძირი 3,5 მ სიმაღლის ფოთლოვანი ნერგის დარგვა. საკომპენსაციო რგვის ვალდებულება მოიცავს, როგორც ნერგების დარგვას, ასევე მათ შემდგომ მოვლა-პატრონობას დარგვიდან სამი წლის განმავლობაში. საკომპენსაციო რგვა უნდა განხორციელდეს თქვენსავე ტერიტორიაზე (ქ. თბილისი, დელისის ქ. N3; საკ/კოდ 01.10.15.006.048) ნებართვის მიღებიდან პირველსავე არასავეგეტაციო პერიოდში, აგროტექნიკური ღონისძიებების დაცვით და ჩვენი სამსახურის სპეციალისტის ზედამხედველობით.

ნებართვის მიმღები ვალდებულია საკომპენსაციო რგვის დაწყების თარიღი და დროის ინტერვალი წერილობით აცნობოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურს ზედამხედველობის გაწევის მიზნით (დარგვის დაწყებამდე - მინიმუმ 2 სამუშაო დღით ადრე). წინააღმდეგ შემთხვევაში მწვანე ნარგავების საკომპენსაციო რგვის ვალდებულება არ ჩაითვლება შესრულებულად.

საკომპენსაციო რგვის განხორციელების შემდეგ, ყოველ კვარტალში ერთხელ უნდა იქნას წარმოადგენილი დარგული ხე-მცენარეების მდგომარეობის შესახებ ანგარიში და შესაბამისი ფოტომასალა.

ხოლო რაც შეეხება მოთხოვნას მწვანე ნარგავების N1 და N2 მოჭრის თაობაზე, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია მოჭრის ნაცვლად განხილულ იქნას ხე-მცენარეების გადარგვის ალტერნატივა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ წარმოადგინოთ უფლებამოსილი პირის მიერ გადარგვის შესაძლებლობაზე გაცემული დასკვნა და გადარგვის პროექტი (გადასარგავი ტერიტორიის მითითებით).

ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური-
სამსახურის უფროსი

გიგა
გიგაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: 18-0118032708
თარიღი: 01/02/2018

ადრესატი: ი.ბ.ა დელისი 3
მისამართი: დელისის ქ 3

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურმა განიხილა თქვენი 2017 წლის 01 იანვრის #10/01180223324-18 წერილი და თანდართული დოკუმენტაცია (ექსპერტ დავით კობახიძის 2018 წლის 20 იანვრის #001/07 საექსპერტო დასკვნა), რომლითაც ითხოვთ თქვენს კუთვნილ ტერიტორიაზე (ქ. თბილისი, დელისის ქუჩა #3 საკ/კოდ 01.10.15.006.048) ხე-მცენარეების გადარგვის ნებართვას.

გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესი"-ს მე-2 თავის 21-ე მუხლის შესაბამისად და თქვენს მიერ წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამსახური გასცემს 2 ძირი თეთრი თუთის (#1,2) გადარგვის ნებართვას თქვენსავე ტერიტორიაზე (ქ. თბილისი, დელისის ქუჩა #3 საკ/კოდ 01.10.15.006.048) მშენებლობის ნებართვის/წერილობითი თანხმობის წარმოდგენის შემთხვევაში.

მწვანე ნარგავების გადარგვის ნებართვა გაიცემა 1 წლის ვადით, ხოლო გადარგული მწვანე ნარგავების მოვლის სამუშაოების ხანგრძლივობა განისაზღვრება 3 წლის ვადით.

ნებართვის მიმღები ვალდებულია გადარგვის დაწყების თარიღი და დროის ინტერვალი წერილობით აცნობოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურს ზედამხედველობის გაწევის მიზნით (გადარგვის დაწყებამდე - მინიმუმ 2 სამუშაო დღით ადრე). წინააღმდეგ შემთხვევაში მწვანე ნარგავების გადარგვა ჩაითვლება უკანონოდ.

გადარგვის განხორციელების შემდეგ, ყოველ კვარტალში ერთხელ წარმოდგენილი უნდა იქნას გადარგული ხე-მცენარეების მდგომარეობის შესახებ ანგარიში და შესაბამისი ფოტომასალა.

აქვე გაცნობებთ, რომ გადარგული მწვანე ნარგავების 1 წლის ვადაში გახმობის შემთხვევაში დაგეკისრებათ ბიომრავალფეროვნებაზე მიყენებული ზიანის-აღდგენითი ღირებულების გადასახადი.

ასევე გაცნობებთ, რომ ნებართვის მისაღებად საჭიროა მომზადდეს და ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურთან შეთანხმდეს სამშენებლო ტერიტორიაზე კ-3 კოეფიციენტის ათვისების დენდროლოგიური პროექტი, რომელშიც შესაძლებელია გათვალისწინებული იქნას საკომპენსაციო რგვის ფარგლებში დასარგავი და გადასარგავი ხე-მცენარეების რაოდენობა.

პროექტი უნდა მოიცავდეს:

- კ-3 კოეფიციენტის ფართობს;
- დენდროლოგიური პროექტის შეთანხმების თარიღს;

- გასაშენებელი ხე-მცენარეების სახეობებს (მათ შორის დახასიათება - ხნოვანება, სიმაღლე);
- დენდროლოგიური პროექტის დასრულების თარიღს;
- გაშენებული ხე-მცენარეების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელ პირს;
- გაშენებული ხე-მცენარეების მოვლა-პატრონობის ხანგრძლივობას.

ნებართვის გაცემიდან 10 დღის ვადაში ნებართვის მფლობელი ვალდებულია მოსალოდნელი მშენებლობის საინფორმაციო დაფის გვერდით განათავსოს ზემოაღნიშნული დენდროლოგიური პროექტის ძირითადი ასპექტების და პარამეტრების ამსახველი ინფორმაცია.

აქვე გაცნობებთ, რომ საინფორმაციო დაფაზე დენდროლოგიური პროექტი ვიზუალურად გამოსახული უნდა იქნას მაკეტის ან/და ფოტომონტაჟის სახით. საინფორმაციო დაფის მინიმალური გაბარიტი უნდა იყოს A2 ზომის ფორმატი. საინფორმაციო დაფა უნდა შენარჩუნდეს სამშენებლო სამუშაოების წარმოების მთელი პერიოდის განმავლობაში და მოიხსნას შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ.

ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

გიგა გიგაშვილი

შ.პ.ს.
სილვა გრუპი

SILVA GROUP
LTD

N 001/209

08. 11. 2017 წ

იბა „დელისი 3“,–ის ს/ნ 205198522,
თავმჯდომარეს ბატონ გიზო გოგოძეს

ჩვენთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად მ/წლის 11 ნოემბერს საქართველოს კანონის ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 19 მაისის №10-40 დადგენილების მოთხოვნათა დაცვით და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის 2017 წლის 02 ივნისის N 5 – 31 ბრძანების საფუძველზე შევისწავლე მისამართი: ქალაქი თბილისი, ქუჩა დელისი N 3. საკადასტრო კოდი: N 01.10.15.006.048 არსებული ხე–მცენარეების მდგომარეობა.

წარმოგიდგენთ საექსპერტო დასკვნას მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებაზე და ფოტომასალას 1 CD დისკზე.

პატივისცემით,
დირექტორი
დავით კობახიძე

საქართველო, 0178, თბილისი, ი. სიხარულიძის ქ. № 11, ტელ. (+995) 551 606226,
11Sikharulidze st. Tbilisi. Georiia. (+995) 551 606226 Email: davitkob@gmail.com

საექსპერტო დასკვნა

თარიღი: 08.11.2017წ.
კვლევის ჩატარების მეთოდი: ვიზუალური.
მისამართი: ქალაქი თბილისი , ჭუჩა დელისი , N 3
საკადასტრო კოდი: N 01.10.15.006.048
დამკვეთი: იბა „დელისი 3“, ს/ნ 205198522, თავმჯდომარე გიზო გოგოძე

ინფორმაცია

მწვანე ნარგავების სახეობის, მდგომარეობის, დიამეტრის და მდგომარეობის შესახებ *ცხრილი N 1*

ხის N	სახეობა	Do დიამეტრი 10სმ-ზე	Dt დიამეტრი 1.3 მ-ზე	H სიმაღლე მ	მდგომარეობა	შენიშვნა
1	თუთა თეთრი (Morus alba)	53.5	23.9	5	ჯანსაღი	
2	თუთა თეთრი (Morus alba)	33.4	23.9	9	ჯანსაღი	
3	კომში Cydonia	18.5	9.9	6	ჯანსაღი	ხილ–კენკროვანი
4	დაფნა (Laurus)	14.3	8.0	4	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა
5	კაკლის ხე (Juglans regia)	21.3	15.3	4	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა
6	ქლიავი Prunus domestica	14.0	9.6	4	ჯანსაღი	ხილ–კენკროვანი
7	ვაზი Vitis	4.8	3.2	4	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა
8	თხილი Corylus	5.1	3.2	2	ზეხმელი	
9	თხილი Corylus	6.4	3.8	2	ზეხმელი	

დამკვეთის მიერ მოთხოვნილია 9 ძირი ხე-მცენარის ხარისხობრივ შეფასებაზე დასკვნის მომზადება. აღრიცხულ იქნა 2 ძირი თუთა თეთრი, 1 ძირი კაკლის ხე, 2

ძირი თხილი, 1 ძირი დაფნა, 1 ძირი კომში, 1 ძირი ქლიავი და 1 ძირი ვაზი. იხ. ცხრილი N 1.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი 9 ძირი ხე–მცენარისა ტერიტორიაზე განთავსებულია 21 ძირი ხე–მცენარე, მათ შორის 2 ძირი კაკლის ხე (1 ჯანსაღი, 1 ზეხმელი), 9 ძირი თუა თეთრი (ჯანსაღი), 1 ძირი აკაცია (ჯანსაღი), 1 ძირი ხურმა (ჯანსაღი), 2 ძირი კომში (ჯანსაღი), 3 ძირი ქლიავი (2 ძირი ჯანსაღი, 1 ძირი ზეხმელი), 1 ძირი ლელვი (ჯანსაღი), 1 ძირი ჭერამი (ჯანსაღი) და 1 ძირი ვაზი (ჯანსაღი).

აღრიცხული 9 ძირი ხე–მცენარიდან:

- ხილ–კენკროვანი სახეობისაა 2 ძირი – (N 3 კომში, N 6 ქლიავი)
- მხვიარა მცენარეების ჯგუფის 1 ძირი – 1 ძირი (N 7 ვაზი)
- დანარჩენი 6 ძირი ხე–მცენარიდან : ზეხმელია 2 ძირი – (N 8, N 9) თხილი, ჯანსაღია 4 ძირი – 2 ძირი თუთა (N 1, N 2), 1 ძირი (N 4) დაფნა და 1 ძირი (N 5) კაკლის ხე.

3 ხე–მცენარის (N 4 – დაფნა, N 5 კაკლის ხე, 1 ძირი ვაზი) და 2 ძირი ხილ–კენკროვანი სახეობის ხე–მცენარის (1 ძირი (N 3) კომში, 1 ძირი (N 6) ქლიავი) გადარგვა შესაძლებელია მცენარის არასავეგეტაციო პერიოდში აგროტექნიკური ღონისძიებების სრული დაცვით.

მესაკუთრეს ეძლევა რეკომენდაცია გადარგვის შემდეგ პროცედურებზე:

ადგილზე ამოღებული ორმოს სიღრმე და დიამეტრი უნდა იქნას ამოღებული ნერგის ფესვების სიგრძისა და გარშემოწერილობის პარამეტრების შესაბამისად. ამოღებამდე რეკომენდირებულია მცენარეს ჩაუტარდეს სხვლა–ფორმირება. ორმოში სასურველია წინასწარ იქნეს შეტანილი 15-20 კგ. ორგანული სასუქი (გადამწვარი ნაკელი, ტორფნაკელიანი, ტორფდოლომიტიანი და სხვა). ორმოში ჩარგული ნერგის ფესვები უნდა გასწორდეს და მიეყაროს პირველი ბარის პირით ამოღებული მიწა. ფესვებზე მიყრილი მიწა თანდათანობით უნდა მიეტკეპნოს, შემდეგ ორმო უნდა ამოივსოს მეორე ბარის პირით ამოღებული მიწით. ორმოში მიწის კარგად დატკეპნის შემდეგ, მიზანშეწონილია ნერგის ირგვლივ მინიმუმ 50 სმ რადიუსის და 10 სმ სიღრმის ჯამების გაკეთება. ნერგები უნდა მოირწყას ჩარგვისთანავე და გამაგრდეს თოკებით 3 მხრიდან.

შემსრულებელი: დავით კობახიძე
ექსპერტი

საქართველო, 0178, თბილისი, ი. სიხარულიძის ქ. № 11, ტელ. (+995) 551 606226,
11Sikharulidze st. Tbilisi. Georiia. (+995) 551 606226 Email: davitkob@gmail.com

შ.პ.ს.
სილვა გრუპი

SILVA GROUP
LTD

N 001/07

20. 01. 2018 წ

იბა „დელისი 3“, ს/ნ 205198522
თავმჯდომარეს ბატონ გიზო გოგოძეს

ჩვენთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად მ/წლის 20 იანვარს საქართველოს კანონის ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 19 მაისის №10-40 დადგენილების მოთხოვნათა დაცვით და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის 2017 წლის 02 ივნისის N 5 – 31 ბრძანების საფუძველზე შევისწავლე მისამართი: ქ. თბილისი, ქუჩა დელისი, N 3, საკადასტრო კოდი: N 01.10.15.006.048 არსებული ხე–მცენარეების მდგომარეობა.

წარმოგიდგენთ საექსპერტო დასკვნას მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებაზე და ფოტომასალას 1 CD დისკზე.

პატივისცემით,
დირექტორი
დავით კობახიძე

საქართველო, 0178, თბილისი, ი. სიხარულიძის ქ. № 11, ტელ. (+995) 551 606226,
11Sikharulidze st, Tbilisi, Georjia, (+995) 551 606226 Email: davitkob@gmail.com

საექსპერტო დასკვნა

თარიღი: 20.01.2017წ.
კვლევის ჩატარების მეთოდი: ვიზუალური.
მისამართი: ქ. თბილისი, ქუჩა დელისი, N 3
საკადასტრო კოდი: N 01.10.15.006.048
დამკვეთი: იბა „დელისი 3“, ს/ნ 205198522 თავმჯდომარე გიზო გოგოძე

ინფორმაცია

მწვანე ნარგავების სახეობის, დიამეტრის და მდგომარეობის შესახებ

ცხრილი N 1

ხის N	სახეობა	Do დიამეტრი 10სმ-ზე	Dt დიამეტრი 1.3 მ-ზე	H სიმაღლე მ	მდგომარეობა	შენიშვნა
1	თუთა თეთრი Morus alba	53.5	23.9	4	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა, სამღეროიანი
2	თუთა თეთრი Morus alba	33.4	23.9	9	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა

დამკვეთის მიერ დამატებით მოთხოვნილია 2 ძირი ხე-მცენარის ხარისხობრივ შეფასებაზე დასკვნის მომზადება. იხ. ცხრილი N 1.

ზემოთაღრიცხული 2 ძირი ხე–მცენარის თუთა თეთრი Morus alba გადარგვა შესაძლებელია მცენარის არასავეგეტაციო პერიოდში სპეციალური ტექნიკით კომპეტენტური სპეციალისტის მეთვალყურეობის ქვეშ.

შემოდგომაზე მოთხრა უნდა მოხდეს ვეგეტაციის ბოლოს, როდესაც მცენარის ყლორტის ზრდა დამთავრდება, გამერქნდება, დაიწყება (ან უკვე დამთავრდება) ფოთოლცვენა და საბოლოოდ ჩამოყალიბდება კენწეროს კვირტი. გაზაფხულზე მოთხრა უნდა ჩატარდეს კვირტის გახსნამდე. მოთხრამდე უნდა მოხდეს ტოტების ფორმირება.

შემსრულებელი: დავით კობახიძე
ექსპერტი

საქართველო, 0178, თბილისი, ი. სიხარულიძის ქ. № 11, ტელ. (+995) 551 606226,
11Sikharulidze st, Tbilisi, Georgia, (+995) 551 606226 Email: davitkob@gmail.com